ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6740667

ნომერი: AR1993625

თარიღი : 04.10.2023

გაცემის თარიღი : 02.11.2023

გაცნობის თარიღი : 18.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლადო ასათიანი , N 19 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დადიანი , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა მიქელაძე პ/ნ 01024014178
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: შალვა მიქელაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს შალვა მიქელაძის არქიტექტურული კაბინეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405214628

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიცპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2023 წლის 04 ოქტომბრის AR1993625 განცხადება.
„კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N41, 26.10.2023 წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. რეკომენდაცია: გათვალისწინებული იქნეს საბჭოს წევრების რეკომენდაციები.
გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. სამსახურის მიერ 2019 20 მაისის წლის № 4506239 ბრანებით, ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქ. N19; დადიანის ქ. N17- ში (ს/კ N01.15.05.076.007, საცხოვრებელი ზონა 5(სზ-5)-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 5 ოქტომბრის N22.1536.1678 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ოქტომბრის N15-92-2022 დადგენილებთ საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა მოიხსნა. საჭიროა აღნიშნული ასახული იქნეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, რისთვისაც საჭიროა დააყენოთ შესაბამისი ცვლილების მოთხოვნა;
2. თქვენ მიერ განცხადების დარეგისტრირებისას შერჩეულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ნომენკლტურა. იმ შემთხვევაში, თუ ხდება ობიექტის ფუქნციის შეცვლა, საჭირა პირველ ეტაპზე შევიდეს ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში; ამასთანავე განგიმარტავთ, ვინაიდან შეცვლილია ფუნქციური ზონა (სსზ-2), „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების დანართი 1-ით განსაზღვრულია ძირითადი და სპეციალური „ზონალური ნებართვით“ დაშვებული სახეობები, რომლის მიხედვითაც განაშენიანების სსზ-2-ში მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლის განთავსებას ესაჭიროება სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. აქედან გამომდინარე საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განცხადება ატვირთოთ საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge შესაბამის ნომენკლატურაში;
3. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
- საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნეს სამეზობლო მიჯნები;
- ფოტომონტაჟებზე არ არის მითითებული მასალა, ნიშნულები, ფერის კოდები;
- დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) ორივე ქუჩის მხრიდან, რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.